EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი N65969/09
დაჩი ცაგურია
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2015 წლის 15 სექტემბრის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე - ლედი ბიანკუ,
მოსამართლეები - ნონა წოწორია, პოლ მაჰონი,
და სექციის განმწესრიგებელი მოადგილე - ფატოშ არაჩი,

მხედველობაში მიიღო 2009 წლის 7 დეკემბერს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

მხედველობაში მიიღო მოპასუხე მთავრობის მიერ 2015 წლის 27 მაისს წარმოდგენილი დეკლარაცია, რომლითაც სასამართლოს ეთხოვა, საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოერიცხა, და ასევე მხედველობაში მიიღო მომჩივნის უარი ეპასუხა ამ დეკლარაციისთვის,

განხილვის შედეგად გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და წარმოება

1. მომჩივანი, ბ-ნი დაჩი ცაგურია, არის საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1982 წელს და ცხოვრობს ქ. თბილისში.

2. საქართველოს მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი ლ. მესხორაძე.

3. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად.

4. 2009 წლის აპრილის დასაწყისიდან ივნისის ბოლომდე ოპოზიციის ათასობით მხარდამჭერი ყოველდღიურად მართავდა დემონსტრაციებს ქ. თბილისის სხვადასხვა ნაწილში და ასევე ქვეყნის სხვადასხვა მთავარ ქალაქში პრეზიდენტ მ. სააკაშვილის და მისი მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. ამ პერიოდის განმავლობაში იყო შემთხვევები, როდესაც პოლიცია სავარაუდოდ იყენებდა გადამეტებულ ძალას დემონსტრანტების წინააღმდეგ. წინამდებარე საჩივარი ეხება ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2009 წლის 15 ივნისს.

5. კერძოდ, 2009 წლის 15 ივნისის დილას ოპოზიციური ჯგუფის ორმოცდაათი წევრი და მხარდამჭერი, რომელთა ლიდერი მომჩივანი იყო, შეიკრიბა თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან, რათა გაეპროტესტებინა ოპოზიციის აქტივისტების დაპატიმრება, რომელსაც ადგილი რამდენიმე დღით ადრე ჰქონდა. პოლიციამ დემონსტრანტებს 15-20 წუთი აცადა და შეუდგა ძალისმიერი მეთოდებით მათ დაშლას.

6. მომჩივნის განცხადების თანახმად მან მიიღო დემონსტრაციის დამშლელი პოლიციელებისგან რამდენიმე ძალისმიერი დარტყმა ხელკეტით ხერხემლის, თავისა და ხელების არეში. დემონსტრაციის დაშლის შემდეგ რამდენიმე მონაწილე და მათ შორის მომჩივანი დააკავეს და პოლიციის სამმართველოს შენობაში შეიყვანეს. დაკავებული დემონსტრანტები სავარაუდოთ ძირს დააწვინეს, ხოლო პოლიციელები მათ შეურაცყოფას აყენებდნენ, ფეხს და ხელკეტს ურტყამდნენ.

7. იმავე დღეს, 2009 წლის 15 ივნისს, მომჩივნის მიმართ დადგინდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და პოლიციელის კანონიერი ბრძანებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. სავარაუდოდ, საქმის მასალების გასაცნობად და ადვოკატის დასანიშნად დროისა და საშუალების მიცემის გარეშე მომჩივანი თბილისის პოლიციის სამმართველოდან სასამართლოში გადაიყვანეს საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით, მომჩივნის და დემონსტრაციის დაშლაში მონაწილე პოლიციელების ზეპირი განცხადებების ხანმოკლე მოსმენის შემდეგ, მომჩივნის ბრალეულობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებში, რომლის შესახებ დადგენილება რამდენიმე საათით ადრე გამოუტანეს, დადასტურდა. კერძოდ,

სასამართლომ დაადგინა, რომ ქუჩაში მომჩივანი პოლიციელებისადმი სიტყვიერ შეურაცყოფას მიმართავდა და ამას აგრძელებდა მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელმა გააფრთხილა შეეწყვიტა ეს ქმედება. მომჩივანს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი - 30 დღიანი პატიმრობა.

9. ამის შემდეგ 2009 წლის 15 ივნისის საღამოს მომჩივანი ბადრაგით თბილისის საქალაქო სასამართლოდან შინაგან საქმეთა სამინისტროს N2 იზოლატორში გადაიყვანეს, სადაც მან სახდელი მოიხადა.

10. 2009 წლის 16 და 17 ივნისს მომჩივანმა პოლიციელების მხრიდან დემონსტრაციის დაშლისას და ასევე დაკავების შემდეგ თბილისის პოლიციის სამმართველოს შენობაში სავარაუდო ძალადობის ფაქტზე მიმართა მთავარ პროკურატურას, რომ მას პოლიციის მხრიდან უფლებების დარღვევის ამ ორ ცალკე აღებულ ეპიზოდთან დაკავშირებით გამოძიება დაეწყო.

11. 2009 წლის 16, 17 და 22 ივნისს მომჩივანმა არაერთგზის მიმართა საჩივრით N2 იზოლატორის ხელმძღვანელს იმის თაობაზე, რომ მას არ აღმოუჩინეს შესაბამისი სამედიცინო დახმარება სხეულის დაზიანებებზე, რომლებიც პოლიციის მიერ 2009 წლის 15 ივნისს ცემის შედეგად მიიღო. კერძოდ, მომჩივანი მოითხოვდა, რომ იგი ნევროპათოლოგს გაესინჯა. მომჩივანი ასევე ჩიოდა მისი პატიმრობის ანტისანიტარიული პირობების გამო, კერძოდ აღნიშნავდა, რომ მის საკანში ჰიგიენური საშუალებები არ იყო და, რომ მას შხაპის მიღების შესაძლებლობა არ ჰქონდა.

12. 2009 წლის 22 ივნისს მომჩივანმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება და კერძოდ, პრეტენზიას გამოთქვამდა, რომ მას დაპატიმრებისას მისი საპროცესო უფლებები არ განუმარტეს და შესაძლებლობა არ მისცეს, დაენიშნა ადვოკატი.

13. 2009 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით თბილისის სააპელაციო სასამართლომ მომჩივანს უარი უთხრა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე დაუსაბუთებლობის მოტივით და ძალაში დატოვა 2009 წლის 15 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილება. სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანს არ მოუთხოვია ადვოკატის დახმარება ქვედა ინსტანციის სასამართლოში.

14. 2009 წლის 27 აგვისტოს მომჩივანმა შეკითხვით მიმართა პროკურატურას პოლიციის მხრიდან უფლებების დარღვევის

ფაქტზე მის მიერ შეტანილი სისხლის სამართლის საჩივრით დაწყებული გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. პროკურატურიდან პასუხი არ მოსულა.

სამართალი

15. 2014 წლის 15 სექტემბერს მთავრობას ეცნობა საჩივრის შესახებ კონვენციის მე-3 მუხლის და მე-6 მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად.

16. მთავრობამ 2015 წლის 27 მაისის წერილით შეატყობინა სასამართლოს, რომ სურდა საჩივარში არსებული საკითხების გადაჭრის მიზნით ცალმხრივი დეკლარაციის გაკეთება. ამასთან, მთავრობამ სთხოვა სასამართლოს, საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოერიცხა კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად.

17. მთავრობის დეკლარაციაში ნათქვამი იყო:

„მთავრობა აღიარებს, რომ

- ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის თვალსაზრისით გარკვეულ ხარვეზებს, მათ შორის ამ მუხლის პროცედურულ ნაწილში ბ-ნი ცაგურიას მიმართ სავარაუდოდ 2009 წლის 15 ივნისს მიყენებული სხეულის დაზიანებებზე გამოძიების ნაკლოვანებებს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს N2 იზოლატორში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და პირადი ჰიგიენის დაცვის უზრუნველყოფის ნაკლოვანებებს;

- კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების დარღვევას, რადგან მომჩივანს არ მიეცა ადეკვატური დრო და საშუალება თავის დასაცავად...;

- კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას იმის გამო, რომ ადმინისტრაციული სახდელი - 30 დღიანი პატიმრობა არაპროპორციული იყო;...

მთავრობა მომჩივნის საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ვალდებულებას იღებს:

- ჩაატაროს სწრაფი და ეფექტური გამოძიება მომჩივნის მიერ გამოთქმულ 2009 წლის 15 ივნისს განხორციელებული ძალადობის ფაქტზე ;

- გადაუხადოს მომჩივანს 3 500 (სამი ათას ხუთასი) ევრო ყველა მატერიალური და მორალური ზიანის, ასევე ყველა ხარჯისა და დანახარჯის დასაფარად, აგრეთვე ყველა სხვა გადასახადის ანაზღაურების სახით, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომჩივანს. აღნიშნული თანხა კონვერტირებული იქნება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და განთავისუფლებული იქნება

ნებისმიერი გადასახადისაგან. გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში. თუ ანგარიშსწორება არ განხორციელდა ზემოხსენებულ სამთვიან ვადაში, მთავრობა კისრულობს ვალდებულებას გადასახდელ თანხას დაუმატოს პროცენტი სამთვიანი ვადის ამოწურვის დღიდან ფაქტობრივი გადახდის დღემდე; ამ შემთხვევაში გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

18. 2015 წლის 13 ივლისს მომჩივანს ეთხოვა წარმოედგინა საკუთარი შენიშვნები მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის მიმართ, მაგრამ მან ეს არ გააკეთა.

19. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად სასამართლოს უფლება აქვს, სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე გადაწყვიტოს, ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, თუ ადგილი შეიძლება ჰქონდეს 37-ე 1-ლი პუნქტის "ა', "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს. 37-ე მუხლი 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი უფლებას აძლევს სასამართლოს ამორიცხოს საქმე ნუსხიდან, თუ:

"სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი მიზეზით საჩივრის განხილვის გაგრძელება აღარ არის გამართლებული".

20. სასამართლო ასევე იმეორებს, რომ გარკვეულ ვითარებაში მას შეუძლია, საჩივარი ამორიცხოს ნუსხიდან 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად მოპასუხე მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მომჩივანი ითხოვს საქმის განხილვის გაგრძელებას. (იხ. *Taktakishvili v. Georgia* (განჩინება.), no. 46055/06, 2012 წ. 16 ოქტომბერი). ამასთან, მომჩივნის უარი ეპასუხა მთავრობის დეკლარაციისთვის უნდა იქნეს გაგებული, როგორც მისი უარი მიიღოს იგი.

21. დამატებით სასამართლო მიუთითებს, რომ მას შეუძლია, მიიღოს ცალმხრივი დეკლარაცია მაშინაც, თუკი ადგილი არ ჰქონია წინასწარი მეგობრული მორიგების მოლაპარაკებებს (იხ. *Union of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia* (განჩინება), no. 72874/01, §§ 23-30, 2015 წ. 21 აპრილი).

22. ამ მიზნით, სასამართლომ განიხილა დეკლარაცია მისი პრეცედენტული სამართლიდან, კერძოდ ტაჰსინ აკარის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე პრინციპების გათვალისწინებით (იხ. *Tahsin Acar v. Turkey* (წინასწარი მოსმენა) [დიდი პალატა], no. 26307/95, 75-77-ე პარაგრაფები,

ECHR 2003-VI); *WAZA Spółka z o.o. v. Poland* (განჩინება) no. 11602/02, 2007 წ. 26 ივნისი; და *Sulwińska v.* Poland (განჩინება) no. 28953/03).

23. სასამართლო მოიხმობს იმ ფაქტს, რომ მას რამდენიმე საქმეზე უკვე ჩამოყალიბებული აქვს პრაქტიკა, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებზე, რომლებიც კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების და მე-11 მუხლის დარღვევით პოლიციის მხრიდან განხორციელებულ ძალადობას და მასზე ადეკვატური გამოძიების არარსებობას (იხ., მაგალითისთვის *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, §§ 105-112, 2014 წ. 7 ოქტომბერი; *Davtyan v. Georgia*, no. 73241/01, §§ 35-47, 2006 წ. 27 ივლისი), ასევე მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩატარების უფლების ხელსაყოფად გამოყენებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების სამართლიანობის შესახებ (იხ. მაგალითისთვის, *Kakabadze and Others v. Georgia*, no. 1484/07, §§ 84-93, 2012 წ. 2 ოქტომბერი; *Osmani and Others v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"* (განჩინება), no. 50841/99, ECHR 2001-X; და *Galstyan v. Armenia*, no. 26986/03, §§ 100-102, 2007 წ. 15 ნოემბერი).

24. მთავრობის დეკლარაციაში მოცემული აღიარებების გათვალისწინებით და შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობის მხედველობაში მიღებით, რომელიც მოცემულ საქმეში არსებული გარემოებების ადეკვატურია, სასამართლოს არ მიაჩნია გამართლებულად საჩივრის შემდგომი განხილვა (37-ე მუხლის 1 (გ) პუნქტი) (შედარებისთვის იხ. ასევე *Botchorishvili v. Georgia* (განჩინება), no. 652/10, 2015 წ. 30 ივნისი).

25. ამასთანავე, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, კერძოდ კი, საკითხზე არსებული ცალსახა და ვრცელი პრეცედენტული სამართლის არსებობის პირობებში, სასამართლო დარწმუნებულია, რომ კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების პატივისცემა არ მოითხოვს საჩივრის შემდგომ განხილვას (37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების შეჯამების შედეგად).

26. და ბოლოს, სასამართლო ხაზს უსვამს იმას, რომ იმ შემთხვევაში თუ მთავრობა არ შეასრულებს ცალმხრივ დეკლარაციაში მოყვანილ პირობებს, ამას შესაძლოა, მოჰყვეს საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხაში აღდგენა კონვენციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად (იხ. საქმე *Josipović v. Serbia* (განჩინება), no. 18369/07, 2008 წ. 4 მარტი).

27. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

ამის გათვალისწინებით სასამართლომ ერთსულოვნად,

გაითვალისწინა კონვენციის მე-3 მუხლის და მე-6 მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად მოპასუხე მთავრობის მიერ გაკეთებული დეკლარაციის პირობები, ასევე ამ დეკლარაციით აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის პირობები;

მიიღო გადაწყვეტილება, კონვენციის 37-ე მუხლის 1(გ) პუნქტის შესაბამისად ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობითი ფორმით 2015 წლის 8 ოქტომბერს.

ფატოშ არაჩი	ლედი ბიანკუ
სექციის განმწესრიგებელი მოადგილე	თავმჯდომარე